ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწდეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

XVII 2025

DOI:

ეგზისტენციალიზმის ფსიქოლოგიური ასპექტები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

Psychological Aspects of Existentialism in the Work of Vazha-Pshavela

მალხაზ ბალაძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი

Malkhaz Baladze
Shota Rustaveli State University
Georgia, Batumi

აბსტრაქტი

რადგან ეგზისტენციალური ფილოსოფია საკვლევ სფეროდ ადამიანის არსებობას, მისი ცხოვრების რაობაში გარკვევას აღიარებს, იგი ყველაზე ახლოს დგება ლიტერატურასთან, ვინაიდან მხატვრული აზროვნებაც ადამიანის სულის ღრმა შრეებს წვდება და მისი არსებობის არსის გარკვევას ცდილობს.

ეგზისტენციალისტების ხედვით, ადამიანი მიტოვებულია სამყაროში, იგი მარტოა და უპირისპირდება მას. ასევე, ადამიანი მიდრეკილია საკუთარი თავის შეცნობისაკენ, სურს საკუთარ თავში გარკვევა ცნობიერ თუ არაცნობიერ დონეზე, ესწრაფვის აღმოაჩინოს საკუთარი ჭეშმარიტი „მე“, რითაც ცდილობს, მოიპოვოს თავისუფლება, რომელიც ჭეშმარიტების გასაღებია. ამასთანავე, ეგზისტენციალისტები ეძებდნენ გზებსა და მეთოდებს, რითაც ადამიანი შეძლებდა ამის მიღწევას.

ლიტერატურათმცოდნეობაში აღიარებულია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში რეალიზმის დამკვიდრებამ ქართულ ლიტერატურაში ხელი შეუწყო ადამიanის სიცოცხლის არსის „კვლევას“. ეს იმითაც არის განპირობებული, რომ მხატვრული სახეებით ლიტერატურა უფრო ღრმად სწვდება ადამიანის შინაგანი სამყაროს იდუმალ სულიერ შრეებს და ცდილობს იქ მიმდინარე პროცესები მთელი სიზუსტით გადმოგვცეს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს პრობლემა პირდაპირ კავშირშია ფსიქოლოგიზმთან, რამდენადაც ადამიანის ბუნება, მით უფრო მისი არაცნობიერი სამყაროს ამოცნობა, მეტად რთული საკითხია და ლიტერატურა ცდილობს მასში გარკვევას. სწორედ ამ საკითხთა წინ წამოწევით და სათანადო სიმაღლით ჩვენება უმკვიდრებს გარკვეულ მწერლებს „ფსიქოლოგიური“ თუ „ფილოსოფიური“ მწერლის სტატუსს.

აღსანიშნავია ასევე, რომ სწორედ რეალიზმი აღრმავებს ამ მიმართულებით, ანუ ადამიანის არსებობის არსის, მისი რაობისა და დანიშნულების კუთხით კვლევას, რამდენადაც აღიარებულია, რომ მხატვრული სახეებით გადმოცემული ჭეშმარიტება უფრო მარადიულია, ვიდრე ფილოსოფიური კატეგორიებით მოცემული.

ახალმა ქართულმა ლიტერატურამ, გარდა ყოფითი საკითხების ასახვისა, ამ ღრმად ფილოსოფიურ პრობლემატიკასაც დაუთმო სათანადო ადგილი. ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში უხვადაა ეგზისტენციალური პრობლემატიკა და, შეიძლება ითქვას, მათი შემოქმედება იყო საფუძვლის მომზადება რეალიზმის ეპოქისათვის ამ მიმართებით.

უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული ლიტერატურული კრიტიკა არ ამახვილებს ყურადღებას ვაჟა-ფშაველაზე, როგორც ეგზისტენციალისტ მწერალზე. სინამდვილეში ვაჟა-ფშაველა წინ უსწრებს ბევრ ეგზისტენციალისტ ფილოსოფოსს, რომლებმაც ადამიანის არსებობა, მისი ყოფიერების არსი, დანიშნულება ფილოსოფიური კატეგორიებით ჩამოაყალიბეს და გადმოგვცეს. ვაჟა-ფშაველა უფრო ლამაზად და ღრმად ასახავს ამ პრობლემას მხატვრული სახეებით და ჩვენი საკვლევი თემის ძირითადი საკითხიც სწორედ ამ კუთხით წარიმართება.

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, ვაჟა-ფშაველა. რეალიზმი, ეგზისტენციალიზმი.

ABSTRACT

Since existential philosophy takes as its field of inquiry human existence and the clarification of the nature of life, it stands closest of all to literature, for artistic thought likewise reaches into the deep layers of the human soul and seeks to clarify the essence of its existence.

In the view of the existentialists, the human being is abandoned in the world; he is alone and stands in opposition to it. At the same time, the human being is inclined toward self-knowledge; he seeks clarity about himself on both the conscious and unconscious levels, striving to discover his own true „self“, and through this attempts to attain freedom, which is the key to truth. The existentialists, moreover, sought out the ways and methods by which a person might achieve this.

It is recognized in literary scholarship that the establishment of realism in Georgian literature in the second half of the nineteenth century contributed to the „investigation“ of the essence of human life. This is due, among other things, to the fact that through artistic imagery literature reaches more deeply into the mysterious spiritual layers of a person›s inner world and attempts to convey with full precision the processes taking place there.

It should also be noted that this problem is directly connected with psychologism, insofar as human nature — and all the more the discernment of a person's unconscious world — is an exceedingly complex matter, one that literature attempts to clarify. It is

precisely the foregrounding of these questions, and their portrayal with due depth, that establishes for certain writers the status of a „psychological“ or „philosophical“ writer.

It should also be noted that it is realism specifically that deepens inquiry in this direction — that is, into the essence of human existence, its nature and purpose — insofar as it is recognized that truth conveyed through artistic imagery is more enduring than truth given through philosophical categories.

New Georgian literature, in addition to reflecting matters of everyday life, devoted due attention to this profoundly philosophical problem as well. The work of the Georgian Romantics is rich in existential problematics, and it may be said that their work laid the groundwork, in this respect, for the era of realism.

It should be noted that Georgian literary criticism has not focused attention on Vazha-Pshavela as an existentialist writer. In fact, Vazha-Pshavela anticipates many existentialist philosophers who formulated and articulated human existence, the essence of being, and its purpose through philosophical categories. Vazha-Pshavela portrays this problem more beautifully and more deeply through artistic imagery, and it is precisely in this direction that the central concern of our study will proceed.

Keywords: Georgian literature, Vazha-Pshavela, realism, existentialism.

შესავალი

რეალიზმმა ადამიანის არა როგორც საზოგადოების რიგითი წევრის, მისი სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ყოფის, არამედ თვით არსებობის რაობის, სამყაროში მისი ადგილისა და დანიშნულების საფუძვლიანი კვლევა მოითხოვა. ამან კი აჩვენა, რომ ადამიანის არსებობა ხშირ შემთხვევაში ღრმა სულიერი კრიზისის, გაურკვევლობისა და აბსურ-დის ნიშნით იყო აღბეჭდილი. მიზნის, საბოლოო არსისა და დანიშნულების კვლევა კიდევ უფრო აღრმავებდა ამ კრიზისს, ვიდრე პასუხს სცემდა მას. ამიტომ ეგზისტენციალიზმმა დიდი ადგილი დაიჭირა მეცხრამეტე საუკუნის ხელოვნებაში. იგი ლიტერატურის ერთ-ერთ ფორმადაც იქცა. ამ პრობლემატიკამ კი, მიუხედავად მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ძირითადი ეროვნული მოტივებისა, მაინც საკმაოდ ღრმად იჩინა თავი. რომანტიზმში იგი გამოვლინდა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების სახით, სადაც ეგზისტენციალისტების ძირითადი ნიშნები: მარტოობა, შიში, სასოწარკვეთილება, აბსურდი, უიმედობა, არსებობის აზრის ძიება და ღრმა შინაგანი კრიზისი მთელი სისრულით წარმოჩნდა და საინტერესო მსჯელობისა და ძიების ფორმა მიიღო.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ყოველივე ზემოთქმულს კიდევ ღრმა ფსიქოლოგიური შრეები დაემატა, რაც პერსონაჟთა თვითგამორკვევის, პიროვნებად ქცევისა და ზეცნობიერის მიღწევის მწვავე გზის გავლით გამოვლინდა. ეს კი საზოგადოებასთან გაუცხოებისა და შეჯახების ტრაგედიით აღიბეჭდა.

ამ ნაშრომში ჩვენ საკითხის დასმის ფორმით რამდენიმე მათგანს შევეხებით.

კვლევის მეთოდები

კვლევისთვის გამოყენებულია შედარებითი, ტექსტოლოგიური,

ფილოსოფიური და ფსიქოლინგვისტური მეთოდები.

მსჯელობა

ერთ-ერთი ფსიქოლოგიური საკითხი არის ის, თუ რა მოუვიდა ალუდას მუცალთან შეჯახების შემდეგ. ვეფხვივით მეომარი, მრისხანე რაინდი ბავშვივით გულჩვილი გახდა მყისიერად და ქალივით ატირდა. უნდა აიხსნას იმიტომაც, რომ თუ ადრე, ანალოგიურ შემთხვევებში არ მომხდარა ის, რაც ახლა მოხდა (მოუვიდა, დაემართა) ალუდას პიროვნებაში და რადგან არაფრისგან არაფერი არ იბადება (არისტოტელე), უნდა ვეძიოთ ის საფუძვლები, რისგანაც დაიბადა ის, რაც დაიბადა. დევიდ იუმი მსჯელობისას („სკეპტიკური ეჭვები გონების მოქმედებათა შესახებ“) უარყოფს მიზეზის მოქმედების ძალას შედეგთან მიმართებით და ამბობს, რომ შედეგის ფაქტებიდან ვიგებთ, თორემ მოვლენა თავის თავში არ ატარებს მიზეზსო. „ყველა მსჯელობა ფაქტების შესახებ, როგორც ჩანს, დაფუძნებულია მიზეზისა და შედეგის მიმართებაზე. მხოლოდ ამ მიმართების საშუალებით შეგვიძლია გავცდეთ ჩვენი მეხსიერებისა და შეგრძნებების ფარგლებს. [....] ყველა ჩვენს მსჯელობაში ფაქტები ერთნაირი ბუნებისაა. ჩვენ ყოველთვის ვვარაუდობთ, რომ ჩვენ წინ მდებარე ფაქტს და იმ ფაქტს შორის, რომელიც გამოგვყავს მის საფუძველზე, კავშირი არსებობს. მათ რომ არაფერი აკავშირებდეთ, მაშინ ჩვენი დასკვნა სრულიად არასანდო იქნებოდა“ (იუმი 1992: 26-27).

ფაქტიურად დევიდ იუმი ამბობს, რომ შედეგის მიხედვით მიზეზს ვერ ამოვიცნობთ, ან მიზეზით ვერ ავხსნით, რომ ეს შედეგი უნდა დადგეს აუცილებლად. თითქოსდა კავშირი არ არსებობს მათ შორის. მოვლენები, ხდომილებები კი მოსდევს ერთმანეთს, მაგრამ „ჩვენ არ შეგვწევს ძალა, ჩავწვდეთ რაიმე ძალას, რომლითაც მოქმედებს მიზეზი, ან კავშირს მასა და მის ნაგულიხმევ მოქმედებას შორის“(იქვე).

ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ანალოგიური მხატვრული პასაჟები. ახლა ამ თემის საკითხი ეს არ არის, მაგრამ უნდა შევნიშნოთ მსჯელობის არსიდან გამომდინარე, რომ ფსიქოლოგიური ხასიათის მხატვრულ ნაწარმოებებში ბევრია ასეთი მაგალითი: უმიზეზო მოქმედებაზე დოსტოევსკიც ამბობს რომანში „ძმები კარამაზოვები“, რომ ადამიანი ცხოვრობს ჩვეულებრივად და მერე უცებ საშინელებებს ჩადის; საფარბეგის სიავესაც („გამზრდელი“) ვერ მოვუძებნით კონკრეტულ საფუძვლებს, რომელიც ახსნის და გამოდგება ავკაცობის ნამდვილ მიზეზად. ზიანანუმის სიყვარულით მინიშნება არის, თუმცა იგი ვერ ქმნის საფუძველს, წინასწარ წავიკითხოთ მისი, როგორც კანტი იტყოდა, „მიდრეკილება ბოროტისადმი“(Кант 1980: 99) და ა.შ.

და იქვე ამატებს, რომ ყოველი შედეგი განსხვავებულია თავისი მიზეზისაგან. ამიტომ არ შეიძლება მისი აღმოჩენა მიზეზში და მისი პირველადობის აღიარება. მოგვაგონდება უცებ, რომ ალუდას შედეგი მუცალთან სხვაა, კანტალასტან - სხვა. ჯოყოლას შედეგი მიზეზით ვერ აიხსნება. ამიტომაც აკეთებს დასკვნას ავტორი: „მაშასადამე, ამაოდ შევეცდებით ვამტკიცოთ, რომ შეგვიძლია ერთი მოვლენა მაინც განვსაზღვროთ, ანუ მიზეზი ან შედეგი გამოვიყვანოთ ისე, რომ

დაკვირვებასა და ცდას არ მივმართოთ“ (იუმი 1992: 26-27). ე.ი. კავშირი არსებობს, მაგრამ მოქმედ ძალას, რომლითაც იგი ხორციელდება, სხვა დაკვირვება და ანალიზი სჭირდება. არისტოტელე ასე განმარტავს ამ პროცესს: რადგან „მამოძრავებელი მიზეზი წინ უსწრებს მოძრავს, ლოგიკურად კი მოვლენებთან ერთად არსებობს“ (არისტოტელე 1964: 438.). ამდენად, არისტოტელეც მიზეზისა და შედეგის ერთგვარ თანაარსებობაზე საუბრობს. ამიტომ ეს ერთდროულობა ვერ ქმნის იმ ლოგიკურ თანმიმდევრობას გონებისათვის, რომ ჯერ არსებობს ერთი, ანუ მიზეზი და შემდეგ მას მოსდევს მეორე - შედეგი. ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირველი არ ქმნის მეორის აუცილებლობის საფუძველს.

თუმცა ვერც იმ ფაქტს გავექცევით, რომ შედეგი რაღაცამ მოიტანა, რაღაცამ განაპირობა. რაც არ უნდა ძნელად ამოსაცნობი იყოს, რაც არ უნდა არ გავდეს შედეგი მიზეზს, დამდგარი შედეგი გვაიძულებს, როგორც ფაქტი, მას ახსნა მოეძებნოს მისი ძნელად ამოხსნადობისა და შესამჩნეობის მიუხედავად, რადგანაც ვაღიარებთ, რომ არაფრისაგან არაფერი არ წარმოიშობა (არისტოტელე) და ეს აქსიომაა.

ამდენად, კავშირის აღმოჩენა ძნელია, მაგრამ იგი არსებობს. იგი არ დევს მოვლენის ზედაპირზე, ამიტომ უნდა ამოვიცნოთ ტექსტში ჩადებული ინფორმაცია. „სემიოლოგიური კვლევის დროს ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ტექსტი, როგორც ფარული კოდების, „შინაგანი იმფორმაციის“ მატარებელი სტრუქტურა (მაკარაძე 2015: 8).

ამდენად, ყველაზე რთული ფარული კოდების ამოცნობაა, რადგან იგი უზოგადესია და დაცილებულია ჩვენს შეგრძნებებს და ვერც ხილვად, ემპირიულ სამყაროშია შესამჩნევი. ამ საკითხს შემდეგნაირად განმარტავს არისტოტელე: „შეიძლება ითქვას, რომ ადამიანებისათვის ყველაზე უფრო ძნელია უზოგადესის შეცნობა, რადგან ის ყველაზე უფრო მეტადაა დაშორებული შეგრძნებებიდან. ხოლო უზუსტესია ცოდნა უპირველეს გვართა შესახებ, რადგან ცოდნა, რომელიც ნაკლები ნიშნების შემცველ გვარს ეხება, უფრო ზუსტია იმასთან შედარებით, რომელსაც დამატებითი ნიშნებიც აინტერესებს“ (არისტოტელე 1964: 28).

ისიც აღიარებულია, რომ „ყოველი გამონათქვამი, პირველ ყოვლისა, უნდა განვიხილოთ, როგორც პასუხი წინა გამონათქვამისა მოცემულ სფეროში. ის მათ უარყოფს, ადასტურებს, ავსებს, ეყრდნობა მათ. რამდენადაც გამოთქმას უჭირავს რაღაც განსაზღვრული პოზიცია ურთიერთობის მოცემულ სფეროში, მოცემულ საკითხზე... განსაზღვრო შენი პოზიცია სხვა პოზიციებთან შეუთავსებლად, არ შეიძლება“ (вахтин 1986: 450-471). რადგან არ შეიძლება, ამით ფაქტიურად ბახტინი აღიარებს, რომ რაც არ უნდა არ იყოს შესამჩნევი მსგავსება, შედეგისა და მიზეზის მკაფიო, პირდაპირი კავშირი, იგი მაინც წინა პოზიციიდან მომდინარეობს. სწორედ მისი დაფარულობა არის ქვეცნობიერი პრობლემა, რომელიც მე-19 საკუნის ლიტერატურის ძირითად თემად იქცა.

ნიცშე ამბობს, რომ ეს ისეთი მისტიკური პროცესია, „რომლის ძალითაც თანაგრძნობა ორი არსებიდან ქმნის ერთს და ამ გზის მეშვეობით უადვილებს ერთს უშუალოდ გაუგოს მეორეს“ (Ницше 1998: 464). საინტერესოა, რომ იგივე პროცესს მერაბ მამარდაშვილი ასე განმარტავს:

„მხოლოდ სიმარტოვის უფსკრულიდან შეგიძლია მიაწვდინო ხმა სხვას. თუ დააკვირდებით მისტიკოსთა ტექსტებს, წმინდა მამების ტექსტებს და ა.შ., ყველგან ამოიკითხავ ამ აზრს. თუ ჩავარდი უფსკრულში სიმარტოვისა, იქიდან მისწვდები სხვას, ვინც შენსავით თავისი სიმარტოვის უფსკრულში აღმოჩნდა. ერთი სიღრმე მეორე სიღრმეს ეხმაურება... მას წინ უსწრებს ნახტომი საკუთარ უჩინარ სიღრმეში, რომელსაც სხვა ვერ ხედავს“ (მამარდაშვილი 1992: 89). ამიტომაც შეუძლებელია ის დაინახოს მინდიამ („ალუდა ქეთელაური“), მიუხედავად მცდელობისა და მონდომებისა. ვერც ექნებოდა, რადგან, რის გაგებასაც ცდილობს, ეს სხვისი გამოცდილებაა. მის „კეთილგანწყობას იმიტომ არ ექნებოდა საზრისი, რომ ის საკუთარ თავზე შრომით, საკუთარი რისკით მოპოვებული, ე.ი. დამყარებული არ იქნებოდა“ (მამარდაშვილი 1992: 132). არ იქნებოდა, რადგანაც: „პიროვნებისა და თავისუფლების შეცნობა პირად გონთან, ნებასა და აქტიურობასთან არის დაკავშირებული“ (ბერდიაევი 2024: 56). ეს იყო ნაგულისხმევი მამარდაშვილის ზემოთქმულ განმარტებაში, რომ ხდომილებებში ჩვენი ჩართულობის, ძალისხმევის გარეშე არაფერი ხდებაო. ამ დასკვნას კიდევ უფრო მეტად ამაგრებს ალბერტ კამიუ: „გამოცდილად მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს, რაც თავს გარდაგვხდენია... გონებისმიერი ჭვრეტა … არაფერში გვარწმუნებს (კამიუ 1996: 21).

საინტერესოა, რომ შემეცნების და გაგების შედეგის დადგომისათვის მოაზროვნეები ერთ დასკვნამდე მიდიან: აუცილებელია შენი, პირადი „მე“-ს ჩართულობა. გამოდის, რომ მიზეზი შედეგზე ვერ მეტყველებს, არ შეგვიძლია მისი აუცილებელ თუ განმსაზღვრელ საფუძვლად წარმოდგენა, მაგრამ შედეგი რომ პირადი ჩართულობისა და საკუთარ თავზე გამოუცდელად არ დგება, ეს ნათელია. მტკიცებულებისთვის კიდევ მოვიყვანთ საინტერესო დასკვნას: „გაგება მაშინ დგება, როდესაც „შენ“ ამ სიტუაციაში აღმოჩნდები. შესაბამისად, ეს სიტუაციები ძალაუნებურად დისკრეტულია ერთმანეთის მიმართ; არცერთი არ წარმოიშობა სხვისგან.“ (მამარდაშვილი 2025: 98).

ამდენად, ჩანს, რომ მოვლენისა და მისი გამომწვევი მიზეზის ურთიერთკავშირი პრობლემური საკითხია, რადგან პირდაპირი კავშირი რაღაც ძალისა, რომელიც ამოძრავებს და კონკრეტულად მოცემულ, ისე როგორც ვაჟას პერსონაჟებს, ალუდას, მინიას, ჯოყოლას, ზვიადაურს მოსდით და მიგვიყვანს ამ შედეგამდე არ არსებობს. არ არსებობს, როგორც რაღაც ჩვენგან განყენებული, გვერდით მდგომი, ობიექტივირებული (ბერდიაევი) რაღაც. ამიტომაც, უნდა მივმართოთ მსგავს მაგალითებს, ნიშან-სიმბოლოთასისტემას, რომ რაიმე ლოგიკური მტკიცებულობა გამოვიტანოთ, რომელიც ყოველთვის ალბათობის შემცველი იქნება, მაგრამ ლოგიკურად მყარი. ანუ ერთგვარი მოვლენების იგივეობრიობა თვისებრიობის ხარისხს შეიძენს. მაგრამ ერთი რამ ცხადი ხდება, რომ მიზეზი თავისთავად ვერ დებს აღნიშნულ შედეგს (როგორც იუმი შენიშნავს, ვერ ვხედავთ იმ ძალას, რომელიც მათ აკავშირებს), თუ არა შენი „ხდომილებებში ძალისხმევა“ და შენი ჩართულობა. მრავალი მაგალითი, დასკვნა მოვიყვანეთ ამასთან დაკავშირებით, მაგრამ ის, რომ შენ ხდები, იქცევი იმ ძალად, რომელიც მიზეზსა და შედეგს შორის არსებობს, აკავშირებს მათ, ვფიქრობთ,

დასტურდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნით, რომელსაც აკეთებენ დიდი ფილოსოფოსები: „სიტუაცია მოითხოვს გაგებასაც, იგულისხმება, რომ ის თავად შეიცავს თავის თავში თვითრეალიზაციის რომელიღაც მექანიზმს და მისგან სამუშაოს შესრულებას „მოითხოვს“ (მამარდაშვილი 2025: 112). ამდენად, რაც არ უნდა პირობა შეიქმნას, ანუ მიზეზი, ჩვენ თუ არ შევასრულეთ „სამუშაო“, შედეგი ვერ დადგება. გამოდის, ძალას (კავშირს) რომელსაც ვერ აღმოვაჩენთ მიზეზსა და შედეგს შორის, დევს ჩვენში და ჩვენ მიერ „შესრულებულ სამუშაოში“, ანუ, ჩვენ თვითონ ვართ ის ძალა.

ეს საკითხი ნაჩვენებია რამდენიმე ნაშრომში, მაგ., „ვაჟა-ფშაველას პოემების ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ასპექტები“ (ბალაძე 2025: 135), „ეგზისტენციალიზმი და ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“ (ბალაძე 2022: 36), სადაც კეთდება დასკვნა, რომ ეგზისტენციალური პრობლემა და ზღვრული სიტუაციაა ის გამაერთიანებელი ხაზი, რომელიც ანალოგიურ მოვლენებს აკავშირებთ.

ასევე უნდა შევეხოთ შემდეგ საინტერესო საკითხს, საინტერესოს, რადგან, როგორც ხოსე ორტეგა ი გასეტი ამბობს: არსებობს „სულიერ დისტანციათა შკალა ჩვენსა და რეალობას შორის. ამ შკალაზე რომელიმე მოვლენის ჩვენთან სიახლოვის ხარისხი ამავე მოვლენით ჩვენი გრძნობების აღძვრის ხარისხს შეესაბამება, ხოლო მისგან ჩვენი დაშორების ხარისხი, პირიქით, რეალური მოვლენისაგან დამოუკიდებლობის ხარისხზე მიგვანიშნებს (ამიტომაა საკუთარ თავზე გამოცდის ხარისხი უფრო მეტი..). ამ ჩვენი თავისუფლების განმტკიცების წყალობით რეალობის ობიექტივაციას ვახდენთ და წმინდა ჭვრეტის საგნად ვაქცევთ მას“ (გასეტი 1992: 38).

ამ დებულებიდან გამოდის, რაიმე რომ შევიმეცნოთ, გავიგოთ, უნდა განვჭვრიტოთ, დავაკვირდეთ, ამოვიცნოთ. აქედან გამომდინარე, ახსნა სჭირდება გასეტის საინტერესო დასკვნას: „შკალის ერთ-ერთ უკიდურეს წერტილზე რომ ვდგავართ, რეალური სინამდვილის გარკვეულ მოვლენებთან – ადამიანებთან, საგნებსა თუ სიტუაციებთანა გვაქვს საქმე; ისინი ცოცხალ რეალობად გვევლინებიან; და პირიქით, მეორე უკიდურეს წერტილზე დგომისას საშუალება გვეძლევა ისე აღვიქვამდეთ ყველაფერს, როგორც ჭვრეტით საწვდომ რეალობას (იქვე).

თუ უნდა ვაქციოთ „ჭვრეტის საგნად“, ამას გვერდზე დგომა (მეორე უკიდურეს წერტილზე) სჭირდება, რადგან დაკვირვება გარედან დანახვას, მოვლენისაგან განდგომას, დისტანცირებას გულისხმობს; მეორეს მხრივ, ისიც ნათელი გახდა, რომ თუ შენი გამოცდილება არ არის, ვერ გაიგებ, ვერ ჩაწვდები მოვლენის არსს. გაგება შენად, შენეულ არსად ქცევას გულისხმობს. ამ საკითხს ბევრი მოაზროვნე ეხება და ყველა ერთი და იმავე დასკვნამდე მიდის. მოვიყვანთ რამდენიმეს: გალილეი ამბობდა ასეთ რამეს, რომ „ჩვენ მშვენივრად შეგვიძლია გარედან მივიღოთ ცოდნა, ინფორმაცია, ვისწავლოთ, გავიგოთ, რა არის შესაძლებელი... მაგრამ გაგება იმისა, რა არის ჭეშმარიტი და ყალბი, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ჩვენით, ჩვენი საკუთარი თავიდან“. მერაბ მამარდაშვილი აბობს: რაიმე რომ გავიგოთ, იგი საკუთარ თავზე შრომით, საკუთარი რისკით უნდა იყოს მოპოვებული, ე.ი. საკუთარი თავისუფლების გამოცდილებაზე დამყარებული (მამარდაშვილი 1992: 132).

ლევ შოსტოვი უფრო შორს მიდის; იგი ამბობს, რომ ისტორიის და პოეზიის „გაგების აუცილებელ პირობას საკუთარი გამოცდილება წარმოადგენს“ (შესტოვი 2020: 186).

სანამ ჩვენ ვიცით, ჩვენ არ შეგვიძლია ინფორმაციის ნაკადიდან მოპოვების ბოლომდე მიყვანა. აქ აუცილებელია იმგვარ ახალ სიტუაციაში გადასვლა, რომელიც აუცილებლად ჩართავდა საკუთარ თავში მოწმეს. აკი მაცხოვარიც ეუბნება მოსწავლეებს: „ნურაფერს დაიჯერებთ, რასაც საკუთარ თავზე არ გამოცდით“ (თომას სახარება). ამდენად, გ ა გ ე ბ ა პროცესში ჩართულობას გულისხმობს, ერთის მხრივ, მეორეს მხრივ კი, ჭვრეტა, განჭვრეტა, დაკვირვება დისტანცირებას მოითხოვს გასეტის განმარტებით, თუმცა კამიუს მიხედვით გონებისმიერი ჭვრეტა… არაფერში გვარწმუნებს, რადგან აუცილებელია პირადად შენი გამოცდილება.

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ და მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ მხოლოდ პროცესში ჩართულობა იძლევა გაგებას, ანუ „გამოვცადე – გავიგე“ მეცნიერული, მისტიკური თუ რელიგიური კუთხით ჭეშმარიტებადაა აღიარებული, ანუ აქსიომაა და აქსიომას, მერაბ მამარდაშვილის თქმით, სჭირდება გაგება და არა ახსნა.

შეიძლება დაისვას კითხვა: როგორ უნდა გავიგოთ ეს ორი, ერთი შედეგის მიღწევისათვის აუცილებელი პირობა, რომელიც ურთიერთდაპირისპირებულია. თავშივე უნდა განვმარტოთ, რომ ეს ორი საწინააღმდეგო და თითქოს ერთმანეთთან შეუთავსებელი მოვლენა ერთსა და იმავე დროში, ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობს. ანუ, ჩართულობა პროცესში (როგორც გაგების აუცილებელი პირობა) და დისტანცირება (როგორც დაკვირვება-შემეცნების აუცილებელი მდგომარეობა) შეიძლება ერთდროულად მიმდინარეობდეს. ამას გულისხმობს მერაბ მამარდაშვილის განმარტება პროცესში ჩართული დროის მდინარებასა და იმავე პროცესში შეჩერებული დროის შესახებ. რადგან პროცესში ჩართულობის დრო პროცესს ეკუთვნის. მას დასასრულიც აქვს, რადგან რაიმე მოვლენა, შემთხვევა გარკვეული მოკლე დროის კუთვნილებაა. მთავრდება პროცესი, მთავრდება დრო (ადრეც გვაქვს ნათქვამი, რომ ზღვრული სიტუაციის დრო შემჭიდროვებულია, ხშირად მყისიერიც), ხოლო „შვეულზე“ მყოფი დრო საკუთარი კუთვნილებაა, შენი დროა, ანუ „სულიერი დრო“, რომელიც დროში გაწელილია და გაგყვება თან. ამიტომაც არის შესაძლებლობა ხანგრძლივი დაკვირვებისა. ეს დრო მოქმედების პროცესშიც „შვეულზეა“, ანუ გაჩერებულია და შემდგომაც. და რადგან შენი საკუთრებაა, მხოლოდ შენი განცდაა და იგი „მუშაობს“ შენს სულიერ სამყაროში. როდესაც კამიუ ამბობს, რომ გამოცდილად მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს, რაც თავს გარდაგვხდენია... გონებისმიერი ჭვრეტა… არაფერში გვარწმუნებსო, მართალია, რადგან იგი აცალკევებს და მართალიცაა. უბრალოდ მას არ აქვს გაცნობიერებული მამარდაშვილისეულად ორივე დროის ერთდროული არსებობა, სადაც, გავიმეორებთ, ერთი ადგილზევე მთავრდება და მეორე, „სულიერი დრო“, გაგყვება თან. ამიტომ გვაქვს განჭვრეტის, დაკვირვების საშუალება, რადგან ეს გონებრივი პროცესია. გონება დასკვნებისათვის გააზრებას მოითხოვს, ამას კი დრო სჭირდება.

ეს ის ფსიქოლოგიური საკითხია, რომელიც იკვეთება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურაში. რაიმე პრობლემისა და კრიზისის დროს, ანუ, როგორც ეგზისტენციალისტები ამბობენ, „ზღვრულ სიტუაციაში“ ვლინდება ადამიანის ჭეშმარიტი არსი, ამოტივტივდება ზედაპირზე დაფარული არაცნობიერი, რომელიც ჩვეულებრივ მდგომარეობაში ცნობიერების მიერ არის შენიღბული, ან მისთვისაც სრულად გაუგებარი. მოქმედების იმპულსი მოდის არაცნობიერიდან, მაგრამ მოქმედების შედეგი გაუგებარი რჩება თვით შემსრულებლისთვისაც. ეს ხდება ძირითადად ზღვრულ სიტუაციაში, რადგან ამ დროს გონებას არ ეძლევა საშუალება გააზრებისა იმიტომ, რომ გააზრებისათვის დროა საჭირო. აზრი გონების პროდუქტია. გონებას დრო არ აქვს. ამიტომ იგი ეთიშება მიმდინარე პროცესს და წინ წამოიწევს გრძნობა, ინტუიცია. ანუ, ადამიანი მოქმედებს სიტუაციის შესაბამისად და არა სიტუაციაზე მოსარგებად. მოკლედ, გონება, მისი ნების საწინააღმდეგოდ იძულებით ადგილს უთმობს გულს. ამიტომაც „ცნობიერების ნახტომი“, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, ხდება წამიერად. ბუნებრივია, ამ ელვისებურ სისწრაფეში აზრი ვერ ჩაერთვება, როგორ გონების ფუნქცია და დროში გაწელილი პროცესი, „რადგანაც აზროვნება არის ის, რაც რეაქციებს არ მიჰყვება; რეაქციების არგაყოლა, საკუთარი თავისთვის უფრო დიდი დროის მიცემა აზროვნების თვისება და პირობაა“ (მამარდაშვილი 1992: 68).

გამოყენებული ლიტერატურა

არისტოტელე 1964 – არისტოტელე, მეტაფიზიკა. თბილისი, 1964.

ბალაძე 2022 – მ. ბალაძე, ეგზისტენციალიზმი და ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. ქუთაისი, 2022.

ბალაძე 2025 – მ. ბალაძე, ვაჟა-ფშაველას პოემების ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ასპექტები. თბილისი, 2025.

ბერდიაევი 2024 – ნ. ბერდიაევი, ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი. თბილისი, 2024.

გასეტი 1992 – ო. ი. გასეტი, ხელოვნების დეჰუმანიზაცია. თბილისი, 1992.

იუმი 1992 – დ. იუმი, გამოკვლევა ადამიანის გონების შესახებ. თბილისი, 1992.

კამიუ 1996 – ა. კამიუ, სიზიფეს მითი. თბილისი, 1996.

მაკარაძე 2015 – ე. მაკარაძე, ხალხური ლექსის თეორიის საკითხები. თბილისი, 2015.

მამარდაშვილი 1992 – მ. მამარდაშვილი, საუბრები ფილოსოფიაზე. თბილისი, 1992.

მამარდაშვილი 2025 – მ. მამარდაშვილი, ა. პიატიგორსკი, სიმბოლო და ცნობიერება. თბილისი, 2025.

შესტოვი 2020 – ლ. შესტოვი, დოსტოევსკი და ნიცშე. თბილისი, 2020.

Бахтин 1986 – М.М. Бахтин, Литературно-критические статьи. Москва, 1986.

Кант 1980 – И. Кант,Трактаты и письма. Москва, 1980.

References

Aristotle 1964 – Aristotle, Metaphysics, Tbilisi, 1964.
Bakhtin 1986 – M. Bakhtin, Literary-Critical Articles, Moscow, 1986.
Baladze 2022 – M. Baladze, Existentialism and the Work of Vazha-Pshavela. Kutaisi, 2022.
Baladze 2025 – M. Baladze, Philosophical-Psychological Aspects of Vazha-Pshavela's Poems. Tbilisi, 2025.
Berdyaev 2024 – N. Berdyaev, Existence, Freedom, God. Tbilisi, 2024.
Camus 1996 – A. Camus, The Myth of Sisyphus, Tbilisi, 1996.
Hume 1992 – D. Hume, An Enquiry Concerning Human Understanding, Tbilisi, 1992.
Kant 1980 – I. Kant, Treatises and Essays. Moscow, 1980.
Makaradze 2015 – E. Makaradze, Issues of Folk Poetry Theory, Tbilisi, 2015.
Mamardashvili 1992 – M. Mamardashvili, Conversations on Philosophy, Tbilisi, 1992.
Mamardashvili 2025 – M. Mamardashvili, A. Piatigorsky, Symbol and Consciousness. Tbilisi, 2025.
Ortega y Gasset 1992 – J. Ortega y Gasset, The Dehumanization of Art. Tbilisi, 1992.
Shestov 2020 – L. Shestov, Dostoevsky and Nietzsche, Tbilisi, 2020.